



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ეროვნული სატყეო სააგენტო  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA010102837004718

06 / ნოემბერი / 2018 წ.  
# 1245/ს

ქ. თბილისში, გულუას N6-ში მდებარე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს პირველ და მე-2 სართულზე თითო ერთეული სავაჭრო (ვენდინგ) აპარატის (ყავისა და პროდუქტების) განთავსებისათვის საჭირო ფართის სარგებლობაში გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის (N01) გამოცხადების შესახებ

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, და 38-ე მუხლის, „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 17 ოქტომბრის N9082/01 წერილის, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 02 ნოემბრის N5/61039 წერილისა და საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის 2018 წლის 05 ნოემბრის N22913/02 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ქ. თბილისში, გულუას N6-ში მდებარე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს პირველ და მე-2 სართულზე თითო ერთეული სავაჭრო (ვენდინგ) აპარატის (ყავისა და პროდუქტების) განთავსებისათვის საჭირო ფართის სარგებლობაში გაცემის მიზნით.
2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესები, ზოგადი უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ამ ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.
3. დაევალოს სააგენტოს საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურს (ბ. კუსიდი) სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“, ვებგვერდზე - [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) ინფორმაციის განთავსება.
4. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციული საქმიანობის მართვის სამსახურს (ბ. კინმარიშვილი) სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“, ვებგვერდზე - [www.forestry.gov.ge](http://www.forestry.gov.ge) ინფორმაციის განთავსება.
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.